თბილისის თავისუფალი აკადემია

სამოქმედო გეგმის მიზნების,

ამოცანებისა და შესაბამისი აქტივობების განხორციელების

მონიტორინგის ანგარიში

2023 წელი

შინაარსი

- დოკუმენტის დანიშნულება
- მონიტორინგის პროცესის აღწერა
- სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მონიტორინგი
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება და იმპლემენტაცია
- საგანმანათლებლო პროგრამების ოპტიმიზაცია, შემუშავება და დანერგვა
- სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის, მათი მოზიდვისა და მუდმივი მხარდაჭერის უზრუნველყოფა
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გატარება და კვლევების მხარდაჭერა
- მატერიალური და საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესება
- შეფასება
- რეკომენდაციები

დოკუმენტის დანიშნულება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის მონიტორინგი და შეფასება სტრატეგიული გეგმის განხორციელების ეფექტურობის, ეფექტიანობისა და რელევანტურობის განსაზღვრის უპირობო მექანიზმია. ის უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებას დაწესებულების საქმიანობის შესახებ, ძლიერი და გასაუმჯობესელი მხარეების ზუსტ იდენტიფიცირებას და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადებას საქმიანობის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების მიზნით. მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემები ეხმარება დაწესებულებას შეაფასოს ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებელი - KPI (Key Performance Indicator) და ნათლად დაინახოს, თუ რამდენად კარგად ართმევს თავს ცალკეული სტრუქტურული ერთეული ან მისი წარმომადგენელი სტრატეგიული სამოქმედო გეგმით მასზე დაკისრებულ პასუხისმგებლობებს, რისი შეცვლა/გაუმჯობესებაა რელევანტური საქმიანობის შემდგომი სრულყოფისთვის.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია თბილისის თავისუფალ აკადემიაში (შემდგომში „აკადემია“) სტრატეგიული პროცესის ეფექტიანად განსახორციელებლად, ნაკლოვანებებისა და ხარვეზების დასადგენად და მათზე შესაბამისი რეაგირების დასაგეგმად მოხდეს სტრუქტურული ერთეულებისა და პასუხისმგებელი პირების მიერ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებისა და მიღწეული შედეგების მონიტორინგი და შესრულების ხარისხის შეფასება 2023 წლის საანგარიშო პერიოდის მანძილზე.

მონიტორინგის პროცესის აღწერა

მონაცემთა შეგროვება

- საჭიროების გაცნობიერება
- ინფორმაციის მოძიება/ორგანიზება

შეგროვებული მონაცემების ანალიზი

- მოლოდინების შეფასება
- გადაწყვეტილების მიღება

მიღებულ შედეგებზე რეაგირება და კორექტირება

- უკუკავშირი და ანგარიშის წარდგენა
- გაუთვალისწინებელი დისონანსები

აკადემიაში შემუშავებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმების განხორციელება სისტემური და დისციპლინირებული პროცესია. მონიტორინგის მექანიზმები მორგებულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული საქმიანობების სპეციფიკაზე და შესაბამისად, მოიცავს მონიტორინგის განხორციელების ვადებს, მონიტორინგის მეთოდებს, ინფორმაციის მოთხოვნისა და მიწოდების პროცესში მხარეთა ვალდებულებებსა და მონიტორინგის შედეგებზე რეაგირების შესაძლო ფორმებს.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდისათვის აკადემიის სტრატეგიული განვითარების გეგმით გაწერილი იყო შემდეგი მიზნები:

- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება და იმპლემენტაცია;
- საგანმანათლებლო პროგრამების ოპტიმიზაცია, შემუშავება და დანერგვა;
- სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის, მათი მოზიდვის და მუდმივი მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გატარება და კვლევების მხარდაჭერა;
- მატერიალური და საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესება.

მონიტორინგის და შეფასების პროცესი ერთმანეთან დაკავშირებულ სამ ეტაპად განხორციელდა. კერძოდ:

მონაცემთა შეგროვება - მონიტორინგის პერიოდში სამოქმედო გეგმით გაწერილ ამოცანებზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს დაევალათ მათ მიერ განსახორციელებელი აქტივობების შესრულების შემოწმება, შეფასება, ხარვეზების დადგენა და ხარისხის მართვის სამსახურისთვის მიწოდება.

შეგროვებული მონაცემების ანალიზი - განხორციელდა შეგროვებული ინფორმაციის ანალიზი შესაბამის ინდიკატორთან მიმართებაში.

მიღებულ შედგებზე რეაგირება - სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ჯგუფის მიერ გაცემული რჩევები და შესაბამისი რეკომენდაციების განიხილება აკადემიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ რეაგირების მიზნით.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების კორექტირების ეტაპი - იმდენად, რამდენადაც სამოქმედო გეგმის მონიტორინგის საბოლოო მიზანი გეგმაში დასახული მიზნების მიღწევაა, რიგ შემთხვევებში საჭირო ხდება ამოცანების, აქტივობების, შესრულების ვადების, რესურსების ან პასუხისმგებელი პირის ველში ცვლილებების შეტანა. კონკრეტულად ჩამოთვლილთაგან რომელ ველში შევა საჭირო ცვლილება, დამოკიდებულია პრობლემის გამომწვევ მიზეზებზე.

მოდიფიცირებული სტრატეგიული გეგმა დასამტკიცებლად წარედგინება აკადემიის სენატს.

სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების მონიტორინგი

მიზანი N1. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება და იმპლემენტაცია

ამოცანა 1.1. ინსტიტუციური განვითარების ხარისხის გაუმჯობესება

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში:

- მოდიფიცირდა თბილისის თავისუფალი აკადემიის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, განისაზღვრა სამიზნე ნიშნულები. კერძოდ, აკადემიის სამოქმედო გეგმაში მოცემულ თითოეულ ამოცანას განესაზღვრა კონკრეტული სამიზნე ნიშნული, რომლითაც შესაძლებელი გახდა სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობებისა და ინდიკატორების შესრულების დონის შეფასება/გაზომვა;
- შემუშავდა სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების ახალი ფორმა (თანდართულია წინამდებარე დოკუმენტზე - სამოქმედო გეგმის მიზნების, ამოცანებისა და შესაბამისი აქტივობების განხორციელების მონიტორინგის ანგარიში), რომელიც ხელს უწყობს სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული ინდიკატორების და აქტივობების გაზომვას;
- შემუშავდა და დამტკიცდა თბილისის თავისუფალი აკადემიის კრედიტების აღიარების წესი, რომელიც არეგულირებს მობილობის/შიდა მობილობის, აღდგენის მსურველი პირის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაგროვებული კრედიტების თავსებადობის განსაზღვრისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენის, ასევე უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებისა და უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირის მიღებისა და ჩარიცხვის პრინციპებს;
- მოდიფიცირდა აკადემიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რის შედეგადაც უზრუნველყოფილია ხარისხის მართვის სამსახურის ჩართულობა მობილობის პროცესში, კერძოდ, მონაწილეობა საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობის დადგენაში;

- შემუშავდა და დამტკიცდა თბილისის თავისუფალი აკადემიის შრომის ბაზრის კვლევის სტანდარტი, რომელიც უზრუნველყოფს კვლევის მეთოდოლოგიურ თანმიმდევრულობას და მოიცავს კვლევის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრის, დაგეგმვის, განხორციელების, ანალიზისა და დასკვნის მომზადების პროცედურებს;
- კვლევის ანალიზის შედეგად მოხდა იდენტიფიცირებული საჭიროებების ასახვა შესაბამისი წლების სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმებში;
- დაიხვეწა გამოკითხვის ინსტრუმენტები, რაც ხელს შეუწყობს კვლევის დასკვნების კრიტიკულ გაანალიზებას;
- მოდიფიცირდა და ახალი რედაქციით დამტკიცდა აკადემიის პერსონალის მართვის წესი;
- მოდიფიცირდა და ახალი რედაქციით დამტკიცდა აკადემიის დებულება;
- მოდიფიცირდა და ახალი რედაქციით დამტკიცდა აკადემიის სენატის დებულება;
- მოდიფიცირდა და ახალი რედაქციით დამტკიცდა საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- მოდიფიცირდა და ახალი რედაქციით დამტკიცდა ელექტრონული სწავლების წესი და ელექტრონული სწავლების ხარისხის მართვის მექანიზმები;
- ჩატარდა კვლევა ადმინისტრაციის თანამშრომელთა საჭიროებების გამოსავლენად და შემუშავდა თანამშრომელთა გადამზადების გეგმა;
- ჩატარდა გამოკითხვა აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველსაყოფად;
- განხორციელდა ტრენინგები და შეხვედრები პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

ამოცანა 1.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტიანობის უზრუნველყოფა

- მოდიფიცირდა და ახალი რედაქციით დამტკიცდა თბილისის თავისუფალი აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურის დებულება, ხარისხის მართვის მექანიზმები და შეფასების ეფექტიანობის წესი;

- მოდიფიცირდა და ახალი რედაქციით დამტკიცდა თბილისის თავისუფალი აკადემიის ბიზნესუწყვეტობის მართვის მექანიზმები და ხარისხის მართვის პოლიტიკა;
- ხარისხის პროცესების გაუმჯობესების მიზნით გადაიდგა ქმედითი ნაბიჯები ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გასაძლიერებლად და ხარისხის კულტურის დასამკვიდრებლად;
- განახლდა თბილისის თავისუფალი აკადემიის სამართლებრივი დოკუმენტი - „მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა“. მოხდა მართვის ეფექტიანობის შეფასების მექანიზმების ოპტიმიზაცია;
- განხორციელდა აკადემიის საგანმანათლებლო და სამეცნიერო - კვლევითი მუშაობის, პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის შეფასება, სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა და მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი;
- შემუშავდა და დამტკიცდა თბილისის თავისუფალი აკადემიის კმაყოფილების კვლევის ჩატარების მეთოდოლოგია. დოკუმენტი წარმოადგენს თბილისის თავისუფალ აკადემიაში პროცესების და საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და კმაყოფილების კვლევების განხორციელების გზამკვლევს. დოკუმენტში დეტალურადაა ასახული კმაყოფილების კვლევების სხვადასხვა ტიპები, პასუხისმგებელი პირები, კვლევის ინსტრუმენტები, კვლევის ადმინისტრირების პროცედურები, კვლევის შედეგების ანალიზისა და გავრცელების ეტაპები;
- ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა ანკეტა - კითხვარები მიღებული შედეგების სიღრმისეულად და კრიტიკულად გააანალიზებისა და საჭიროებების შეფასების მიზნით;
- ხარისხის მართვის სამსახურმა ჩაატარა აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევა;
- თვისობრივი კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე ხარისხის მართვის სამსახურმა შეიმუშავა რეკომენდაციები სასწავლო - სამეცნიერო საქმიანობის, საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის, ადამიანური, საბიბლიოთეკო

და მატერიალურ - ტექნიკური რესურსების, სტუდენტური მხარდაჭერის ღონისძიებების შემდგომი სრულყოფის მიზნით.

ამოცანა 1.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- ჩატარდა სხვადასხვა ფორმატისა და შინაარსის შეხვედრები სტუდენტთა და პერსონალის უფლებების, ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის მექანიზმების შესახებ ცოდნის ამაღლების მიზნით;
- ჩატარდა ტრენინგები ციტირების ერთიანი წესის გაცნობის, პლაგიატის შემთხვევების გამოვლენის და აღმოფხვრის და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით;
- პლაგიატის დეტექციის პროგრამაში შემოწმდა სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის ნამუშევრები;
- შემუშავდა და დამტკიცდა დოკუმენტი „აფილირებული აკადემიური/აკადემიური და მოწვეული პერსონალის საათობრივი დატვირთვის, საბაკალავრო ნაშრომისა და პრაქტიკის ხელმძღვანელობის ანაზღაურების წესი“.

მიზანი N2. საგანმანათლებლო პროგრამების ოპტიმიზაცია, შემუშავება და დანერგვა

ამოცანა 2.1. აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფა/მოდიფიცირება

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში:

- თბილისის თავისუფალმა აკადემიამ კონკურენტული უპირატესობის შესაფასებლად, რეალისტური ანალიზისთვის და პროცესების მაქსიმალური ოპტიმიზაციისთვის Benchmarking - ის გზით განახორციელა კონკურენტების წარმატებული გამოცდილების შესწავლა, შეფასება და მათი საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება;
- განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება როგორც სტუდენტების, ასევე კურსდამთავრებულების მიერ;
- პროგრამების მიმდინარეობის ეტაპზე განხორციელდა სტუდენტების მიერ აკადემიის სერვისების შეფასება;

- განხორციელდა სტუდენტის მიერ ლექტორებისა და მიმდინარე სემესტრებში საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმით განსაზღვრული თითოეული სასწავლო კურსის შეფასება;
- პროგრამებში და შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში აისახა კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოვლენილი საჭიროებები;
- პროგრამებში და შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში განხორციელდა სწავლის გაზომვადი და შეფასებადი შედეგების ფორმულირება და მათი ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოზე მორგება;
- განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების შეფასება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით.

ამოცანა 2.2. ახალი საგანმანათლებლო პროგრამების იმპლემენტაცია

- განხორციელდა ახალი აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების იდენტიფიცირება და დაგეგმვა;
- აკადემიამ განახორციელა საგანმანათლებლო პროგრამების დასაქმების ბაზრის კვლევა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება;
- განხორციელდა კონკურენტული გარემოს ანალიზი და იდენტიფიცირდა აკადემიის ადგილი კონკურენტებთან მიმართებაში;
- ჩატარდა აკადემიური კონკურსი სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით აკადემიური პერსონალის რეკრუტირების მიზნით;
- ჩატარდა აკადემიური კონკურსი ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით აკადემიური პერსონალის რეკრუტირების მიზნით;
- ჩატარდა აკადემიური კონკურსი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით აკადემიური პერსონალის რეკრუტირების მიზნით;
- ჩატარდა აკადემიური კონკურსი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით აკადემიური პერსონალის რეკრუტირების მიზნით;
- ჩატარდა აკადემიური კონკურსი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებით აკადემიური პერსონალის რეკრუტირების მიზნით;

- შეიქმნა ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განმავითარებელი ჯგუფი და უზრუნველყოფილ იქნა პროგრამის შემუშავების პროცესში დაინტერესებული პირების ჩართულობა;
- შეიქმნა ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განმავითარებელი ჯგუფი და უზრუნველყოფილ იქნა პროგრამის შემუშავების პროცესში დაინტერესებული პირების ჩართულობა;
- დამტკიცდა მაგისტრატურის დებულება;
- განხორციელდა შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი, რის საფუძველზეც შემუშავდა ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- უზრუნველყოფილ იქნა საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობა;
- აღნიშნული პროგრამა/პროგრამები დამტკიცდა აკადემიის სენატის მიერ.

ამოცანა 2.3. საგანმანმათლებლო პროგრამების აკრედიტაციის უზრუნველყოფა

- საანგარიშო პერიოდში მომზადდა ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში აკრედიტაციის ექსპერტებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის წარსადგენად;
- უზრუნველყოფილ იქნა სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია.

მიზანი N3. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის, მათი მოზიდვის და მუდმივი მხარდაჭერის უზრუნველყოფა

ამოცანა 3.1. საგანმანათლებლო სივრცეში სტუდენტთა ჩართულობისა და ინფორმირებულობის მოქნილი პოლიტიკის შემუშავება

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში:

- მოდიფიცირდა და ახალი რედაქციით დამტკიცდა თბილისის თავისუფალი აკადემიის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების დებულება;
- მოდიფიცირდა და ახალი რედაქციით დამტკიცდა თბილისის თავისუფალი აკადემიის სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დახმარებისა და კარიერული განვითარების ცენტრის დებულება;
- სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დახმარებისა და კარიერული განვითარების ცენტრის მიერ ჩატარდა კარიერული მხარდაჭერის სერვისები (დასაქმების ფორუმები, სამუშაო შეხვედრები, თემატური კონფერენციები, ტრენინგები, ვორქშოფები, სტუდენტებისთვის გაწეული ინდივიდუალური კონსულტაციები და სხვა);
- განხორციელდა სტაჟირებისა და პრაქტიკის პროგრამები;
- სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დახმარებისა და კარიერული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელის მიერ შედგა დამსაქმებლებთან თანამშრომლობა - სტუდენტებს შეეთავაზათ ვაკანსიები სხვადასხვა კომპანიებსა და ორგანიზაციებში;
- ცენტრის მიერ განხორციელდა პოტენციური დამსაქმებლების იდენტიფიცირება და გააქტიურდა დამსაქმებლებთან ურთიერთსასარგებლო კომუნიკაცია;
- მოდიფიცირდა და ახალი რედაქციით დამტკიცდა თბილისის თავისუფალი აკადემიის სტუდენტთა თვითმმართველობის დებულება;
- ჩატარდა აკადემიის ფარგლებში მოქმედი დამოუკიდებელი ორგანოს, სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები;
- სტუდენტური თვითმმართველობის საბჭომ წარადგინა სტუდენტები აკადემიის მართვის ორგანოებში საგანმანათლებლო სივრცეში სტუდენტთა ჩართულობის, ინფორმირებულობისა და მათი ინტერესების წარდგენისა და დაცვის მიზნით;
- განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება როგორც სტუდენტების, ასევე კურსდამთავრებულების მიერ;
- პროგრამების მიმდინარეობის ეტაპზე განხორციელდა სტუდენტების მიერ აკადემიის სერვისების შეფასება;

- განხორციელდა სტუდენტის მიერ ლექტორებისა და მიმდინარე სემესტრებში საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმით განსაზღვრული თითოეული სასწავლო კურსის შეფასება.

ამოცანა 3.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებების გაფართოება

- სტუდენტის საჭიროებიდან გამომდინარე ჩატარდა საკონსულტაციო შეხვედრები;
- ჩატარდა შეხვედრები და ტრენინგები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
- აკადემიამ განახორციელა სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები;
- თბილისის თავისუფალი აკადემიის სტუდენტებს რექტორის ბრძანების საფუძველზე გამოეყოთ შიდა გრანტი;
- განხორციელდა კურსდამთავრებულთა კვლევა და კვლევის შედეგების ანალიზი დასაქმების მაჩვენებლის გაზრდის უზრუნველყოფის მიზნით;
- საანგარიშო პერიოდში მოქმედებდა სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი და შეღავათიანი პირობები.

ამოცანა 3.3. სტუდენტთა აქტივობების ხელშეწყობა, როგორც შემეცნებითი, ასევე ინტელექტუალური სახით

- საანგარიშო პერიოდში ჩატარდა კურიკულუმის გარეშე ღონისძიებები და ინფორმაციული შეხვედრები:
  - ✓ შეხვედრა ფსიქოკონსულტანტთან „ფსიქოკონსულტირება და ფსიქოთერაპია XXI საუკუნეში“
  - ✓ ტრენინგი „საზრისზე ორიენტირებული ცხოვრების ონტოლოგიური საფუძვლები (ვიქტორ ფრანკლის ცხოვრებისა და შემოქმედების მაგალითზე)“
  - ✓ ტრენინგი „საერთაშორისო ბაზებზე დისტანციური წვდომა“

- ✓ ტრენინგი „საერთაშორისო ბაზებზე დისტანციური წვდომა“;
- ✓ „ინტელექტუალური საკუთრების ზოგადი კურსი“;
- ✓ საინფორმაციო შეხვედრა „გამოცდების ავტომატური სისტემა (ExamJet)“;
- ✓ ტრენინგი „პლაგიატის საწინააღმდეგო კონტროლის მექანიზმები, პლაგიატის აღმოჩენისა და პრევენციის შესახებ ცნობადობის ამაღლება“.
- ✓ ტრენინგი „ხარისხის კულტურის განვითარება“;
- ✓ საინფორმაციო შეხვედრა „გამოცდების ავტომატური სისტემა (ExamJet)“;
- ✓ ვორქშოფი „მეწარმეობის დაწყების პოტენციალის დადგენა გენდერული პერსპექტივით“;
- ✓ აკადემიური პერსონალის წიგნის „პროფეტიზმი და ენიგმა ზვიად გამსახურდიას პარაბოლურ - პოეტურ ნარატივში“ პრეზენტაცია;
- ✓ ტრენინგი „პიროვნების ემოციური გადაწვა და სტრესის მართვა”;
- ✓ სამხრეთ - აღმოსავლეთ აზიის განვითარების სიმპოზიუმი;
- ✓ ყავა პროფესორთან;
- ✓ ტრენინგი „აკადემიური ნაშრომის შესრულების სტილი“;
- ✓ საჯარო ლექცია „ფემინიზმი 21 -ე საუკუნეში“;

- ▪ თბილისის თავისუფალმა აკადემიამ გააფორმა ხელშეკრულება შპს „სთადიდრომი“ - თან - გამოცდების ავტომატური სისტემა (ExamJet), რომლის მეშვეობითაც განახორციელდა საგამოცდო პროცესი გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის უზრუნველსაყოფად;
- ▪ განვითარებისა და სხვა შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში აკადემიაში რეგულარულად ხორციელდებოდა სხვადასხვა ტიპის შეხვედრები სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით;
- ▪ ჩატარდა სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის კურიკულუმის გარე აქტივობები, ტრენინგები, ვორქშოფები და ა.შ. უწყვეტი განათლებისა და ცოდნის ამაღლების მიზნით;
- ▪ უზრუნველყოფილია სტუდენტური ინიციატივების ფინანსური მხარდაჭერა;
- ▪ ტრენინგები ჩატარდა ციტირების ერთიანი წესის გაცნობისა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით;

- უსდ-ის საქმიანობაში სტუდენტთა ჩართულობის გაზრდის მიზნით სტუდენტები ჩართულნი არიან აკადემიის მუდმივმოქმედ თუ ერთჯერადად შექმნილ საბჭოებში და ჯგუფებში.

  მათ შორის:

  - ✓ აკადემიის სენატში;
  - ✓ სკოლების საბჭოებში;
  - ✓ პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების ჯგუფში;
  - ✓ თვითშეფასებაზე მომუშავე ჯგუფებში და ა.შ.

მიზანი N4. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გატარება და კვლევების მხარდაჭერა

ამოცანა 4.1. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და დანერგვა

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში:

- მოდიფიცირდა და ახალი რედაქციით დამტკიცდა საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დებულება;
- შემუშავდა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გატარების, მხარდაჭერისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ამოქმედების მექანიზმები;
- საუკეთესო გამოცდილების გაზიარებისა და დანერგვის მიზნით გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ახალ სტრატეგიულ პარტნიორებთან:
  - ✓ WSG University – University of Economy in Bydgoszcz (პოლონეთი);
  - ✓ Diorama Eduversity (ინდოეთი);
  - ✓ Jinka University (JKU) (ეთიოპია);
  - ✓ Royal Victorian University of Armenia (სასომხეთი);
  - ✓ Bharatiya Engineering Science and Technology Innovation University (ინდოეთი);
  - ✓ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო;
  - ✓ იურიდიული კომპანია „ქართული სამართლის ფგუფი“;

სკოლები:

- ✓ სსიპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ სულდის საჯარო სკოლა;
- ✓ სსიპ ზურაბ იარაჯულის სახელობის ქ. თბილისის 106-ე საჯარო სკოლა;
- ✓ სსიპ დაბა ლენტეხის N2 საჯარო სკოლა;
- ✓ შპს უცხო ენების უმაღლესი სკოლა „ნინო“;
- ✓ სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბენარის საჯარო სკოლა;
- ✓ სსიპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ დადეშის საჯარო სკოლა;
- ✓ რუსთავის სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის N 24 ქართული გიმნაზია;
- ✓ სსიპ თბილისის N141 საჯარო სკოლა;
- ✓ სსიპ წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნარდევანის საჯარო სკოლა;
- ✓ სსიპ ნაფიჩხოვოს თემის საჯარო სკოლა;
- ✓ სსიპ სოფელ მაჭატის საჯარო სკოლა;
- ✓ სსიპ საბირქენდის N1 საჯარო სკოლა;
- ✓ სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ხოდაშენის საჯარო სკოლა;
- ✓ სსიპ ობუჯის N1 საჯარო სკოლა;
- ✓ ქ. თბილისი კერძო სკოლა „არქიმედე“;
- ✓ შპს სკოლა „ოლიმპი“
- ✓ სსიპ დმანისის რაიონის სოფელ ირგანჩაის საჯარო სკოლა;
- ✓ სსიპ თამარ მეფის სახელობის გეგუთის N1 საჯარო სკოლა;
- ✓ სსიპ ამბროლაურის N1 საჯარო სკოლა;
- ✓ სსიპ ქ. ვალეს N4 საჯარო სკოლა;
- ✓ სსიპ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ საიმერლოს საჯარო სკოლა;
- ✓ სსიპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ დილისკის საჯარო სკოლა;
- ✓ სსიპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტუნის საჯარო სკოლა;
- ✓ სსიპ დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის პირველი საშუალო სკოლა;
- ✓ სსიპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ დილისკის საჯარო სკოლა;
- ✓ სსიპ მე-40 საჯარო სკოლა;
- ✓ სსიპ 133-ე საჯარო სკოლა;
- ✓ კრეძო სკოლა „ბინული“;

- გაღრმავდა პარტნიორული ურთიერთობები უცხოეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებთან;

ამოცანა 4.2. საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმების ამოქმედება

- ინტერნაციონალიზაციის ამაღლების კუთხით გაძლიერდა ურთიერთობები პარტნიორ უნივერსიტეტებთან;
- აკადემიის მრჩეველი გახდა საერთაშორისო ექსპერტი;
- ჩატარდა რიგით XXIV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, რომლის ორგანიზატორები და მონაწილეები იყვნენ, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური ქვეყნების პარტნიორი უსდ-ები;
- კონფერენციის მასალები დაიბეჭდა და გამოიცა აკადემიის ყოველწლიურ რეფერირებად ჟურნალში „აკადემლაბი“;
- აკადემიის ადმინისტრაციის წევრებმა და აკადემიურმა პერსონალმა ონლაინ ფორმატში მიიღო მონაწილეობა სამხრეთ - აღმოსავლეთ აზიის განვითარების სიმპოზიუმში (ინდონეზია);

ამოცანა 4.3. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა, კვლევითი კომპონენტის მხარდაჭერა.

- ჩატარდა ტრენინგები ციტირების ერთიანი წესის გაცნობისა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, კერძოდ სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადება საერთაშორისო იმპაქტ - ფაქტორიანი ჟურნალებისათვის;
- ჩატარდა კვალიფიკაციის ასამაღლებული კურსები აკადემიური/მოწვეული პერსონალისათვის და ადმინისტრაციული ერთულების წარმომადგენლებისათვის;
- აკადემიის პერსონალმა მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში;
- აკადემიის პერსონალმა განახორციელა სხვადასხვა კვლევითი და სამეცნიერო აქტივობა კერძოდ, სტატიები გამოქვეყნდა ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში, გამოიცა და დაიბეჭდა სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები და ა.შ.

- განხორციელდა პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, დასაქმებისა და პროფესიული განვითარების მექანიზმების ოპტიმიზაცია;
- განხორციელდა პერსონალის შეფასება და მოხდა შესაბამისი რეაგირება;

ამოცანა N5. მატერიალური და საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესება

ამოცანა 5.1. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოება

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში:

- მოდიფიცირდა და დამტკიცდა თბილისის თავისუფალი აკადემიის ფინანსური მართვისა და კონტროლის სტანდარტი;
- მოდიფიცირდა და დამტკიცდა აკადემიის ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის დებულება;
- მოდიფიცირდა და დამტკიცდა აკადემიის რეესტრის წარმოებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის დებულება;
- გასული წლის ბიუჯეტის ანალიზის საფუძველზე შემუშავდა და დამტკიცდა თბილისის თავისუფალი აკადემიის ბიუჯეტი;
- განახლდა აკადემიის მატერიალურ - ტექნიკური ბაზა;
- მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად განხორციელდა სარემონტო სამუშაოები;
- განხორციელდა აკადემიის ოფიციალური ვებ - გვერდის ოპტიმიზაცია;
- მოხდა სოციალური ქსელების (Facebook, Instagram, LinkedIn, Twitter, Youtube) მოდერნიზება;
- განახლდა ტექნიკური აღჭურვილობა (კომპიუტერები, პროექტორები);
- განხორციელდა საქმისწარმოების სისტემის ოპტიმიზაცია;

ამოცანა 5.2. საბიბლიოთეკო რესურსების განახლება/განვითარება

- მოდიფიცირდა და დამტკიცდა თბილისის თავისუფალი აკადემიის ბიბლიოთეკის დებულება;

- საანგარიშო პერიოდში საბიბლიოთეკო ფონდი შეივსო უახლესი ლიტერატურით, სამეცნიერო - პერიოდული გამოცემებით;
- განახლდა ხელშეკრულება ააიპ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციასთან საერთაშორისო ბაზების გამოყენების უზრუნველსაყოფად;
- განახლდა ხელშეკრულება პლაგიატის დეტექციის პროგრამის გამოყენებასთან დაკავშირებით (Turnitin);
- ჩატარდა არაერთი საორიენტაციო და საინფორმაციო შეხვედრა.

ამოცანა 5.3. საინფორმაციო ტექნოლოგიების განახლება/განვითარება

- საინფორმაციო რესურსების გაუმჯობესების მიზნით განახლდა ჰოსტინგი და დომეინის მისამართები;
- განახლდა აკადემიის ოფიციალური ვებ - გვერდი და სოციალური გვერდები;
- გაფართოვდა და განახლდა ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა;
- განხორციელდა სტუდენტური ბაზის ოპტიმიზაცია.

შეფასება

მონიტორინგისა და შეფასების ობიექტურმა და თანამონაწილეობითმა პროცესმა უზრუნველყო თითოეული პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის სათანადო მოტივაცია და ყურადღების კონცენტრირება მათ მიერ განსახორციელებელი აქტივობების შემოწმებაზე, შეფასებაზე და რეაგირებაზე. თბილისის თავისუფალი აკადემიის სტრუქტურულ ერთეულებზე დაკისრებული ფუნქცია - მოვალეობების ჯეროვანი შესრულება გაიზომა განხორციელებული მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმების შეფასების ანალიზით. აკადემიის სტრუქტურულმა ერთეულებმა, მიუხედავად მცირედი ხარვეზებისა, აჩვენეს მაღალი მოქნილობა და ცვალებად გარემოსთან ადაპტირების მაღალი ხარისხი.

განხორციელებული მონიტორინგის შედეგად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ თბილისის თავისუფალი აკადემიის სტრუქტურულმა ერთეულებმა წარმატებით

გაართვეს თავი სამოქმედო გეგმით გაწერილი ამოცანების შესრულებას. ამოცანათა უდიდესი ნაწილი სრულად შესრულდა, ხოლო ნაწილზე მუშაობა განგრძობადია დროში. თუმცა, ამავდროულად გამოიკვეთა მიმართულებები, რომლებიც საჭიროებენ ოპტიმიზაციას.

სტრატეგიული სამოქმედო გეგმის მონიტორინგი წარმოადგენს სტრატეგიული გეგმის იმპლიმენტაციის პროცესისა და შესრულებული აქტივობების შეფასებას, მონიტორინგით გამოვლენილი ვითარების თუ პრობლემის სიღრმისეულ ანალიზს. მონიტორინგი და შეფასება მოიცავს უკუკავშირის ეტაპსაც, რაც გულისხმობს მონიტორინგის ანგარიშის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებას შემდგომი წლების სამოქმედო გეგმაში. ეს არის საუკეთესო საშუალება, რათა სტრატეგიული გეგმის იმპლემენტაცია, ასევე მომავალი სტრატეგიული დაგეგმვა ფორმულირებული იქნეს წარსული გამოცდილების გათვალისწინებით.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია 1 - მოხდეს სამაგისტრო პროგრამის სააკრედიტაციოდ წარდგენა;

რეკომენდაცია 2 - სამაგისტრო პროგრამის/პროგრამების დამატების შესაბამისად მოხდეს აკადემიის სტუდენტთა განსაზღვრული კვოტის გაზრდისთვის შესაბამისი ქმედითი ნაბიჯების გადადგმა;

რეკომენდაცია 3 - მოხდეს შესაბამისი ცვლილების განხორციელება აკადემიის სტრუქტურაში;

რეკომენდაცია 4 - შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე შემუშავდეს ახალი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები;

რეკომენდაცია 5 - შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე შემუშავდეს ახალი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები;

რეკომენდაცია 6 - შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე შემუშავდეს ახალი სამაგისტრო პროგრამები;

რეკომენდაცია 7 - განხორციელდეს ერთობლივი კვლევითი პროექტი პარტნიორ უცხოურ უნივერსიტეტთან;

რეკომენდაცია 8 - აკადემია ჩაერთოს Erasmus+ პროგრამაში;

რეკომენდაცია 9 - გაუმჯობესდეს სერვისები სტუდენტებისთვის;

რეკომენდაცია 10 - გაგრძელდეს პარტნიორ უსდ-ებთან ურთიერთთანამშრომლობითი პროცესი ინტერნაციონალიზაციის გასაღრმავებლად;

რეკომენდაცია 11 - რეგულარულად განხორციელდეს კარიერული მხარდაჭერის აქტივობები;

რეკომენდაცია 12 - განხორციელდეს აკადემიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ სავალი გზის მოწყობითი სამუშაოები;

რეკომენდაცია 13 - გაფართოვდეს აკადემიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ რეკრეაციული ზონა;

რეკომენდაცია 14 - გაფართოვდეს აკადემიის მატერიალურ - ტექნიკური რესურსი.

სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება

ამოცანები	აქტივობები	სრულად შესრულდა	მეტწილად შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	შედეგობრივი აღწერა
1.1. ინსტიტუციური განვითარების ხარისხის გაუმჯობესება	1.1.1.		▯			განახლდა აკადემიის ორგანიზაციული სტრუქტურა; მოდიფიცირდა სტრატეგიული გეგმა.
	1.1.2.	▯				მომზადდა მედია პაკეტი და განხორციელდა ვიზიტი ტელევიზიაში; განხორციელდა ვიზიტი რადიო მაუწყებლობაში; განხორციელდა PR კამპანია სკოლებში; დამზადდა სარეკლამო მასალები ფართო საზოგადოებისათვის (ბილბორდები, ბუკლეტები, საინფორმაციო ტიხრები, სარეკლამო ფოტოები).
	1.1.3.	▯				განახლდა ბრენდბუქი; განხორციელდა შეხვედრები პარტნიორებთან; ჩატარდა პრომო აქციები; აკადემია დაჯილდოვდა ბიზნესრეიტინგების კავშირისა და შვეიცარიის სარეიტინგო ასოციაციის მიერ.

	1.1.4.	▯				ჩატარდა კვალიფიკაციის ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებები.
	1.1.5.		▯			განხორციელდა ინსტიტუციური ბენჩმარკინგი.
	1.1.6.	▯				განხორციელდა ადმინისტრაციული/აკადემიური/მოწვეული პერსონალის ყოველწლიური შეფასება.
1.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტიანობის უზრუნველყოფა	1.2.1.	▯				ჩატარდა არაერთი შეხვედრა ხარისხის კულტურის ამაღლების მიზნით; უზრუნველყოფილ იქნა კორპორაციული ეთიკისა და კორპორაციული კულტურის მდგრადობა.
	1.2.2.	▯				ჩატარდა გამოკითხვები და განხორციელდა რეაგირება.
1.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	1.3.1.	▯				შეძენილ იქნა ახალი საგამოცდო პლატფორმა; განახლდა ხელშეკრულება პლაგიატის დეტექციის პროგრამის - “Turnitin”-ის გამოყენებაზე.

	1.3.2.					ამაღლდა ცნობიერება აკადემიური თავისუფლების პრინციპების დაცვის შესახებ.
	1.3.3.					ჩატარდა ტრენინგები პლაგიატის მიმართულებით ცნობადობის ამაღლების მიზნით; შემოწმდა პლაგიატზე აკადემიური ნაშრომები.
2.1. აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფა/მოდიფიცირება	2.1.1.					მოდიფიცირდა საგანმანათლებლო პროგრამები.
	2.1.2.					მოდიფიცირდა საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსები.
	2.1.3.					ჩატარდა შრომის ბაზრის ანალიზი; განახლდა საგანმანათლებლო პროგრამები შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.
	2.1.4.					განხორციელდა პროგრამული ბენჩმარკინგი.

	2.1.5.					საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელდა გამოკითხვის შედეების იმპლემენტაცია.
	2.1.6.					საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინებულ იქნა პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასებები.
2.2. ახალი საგანმანათლებლო პროგრამების იმპლემენტაცია	2.2.1.					განხორციელდა შრომის ბაზრის ანალიზი; შრომის ბაზრის შედეგების ანალიზი გათვალისწინებულ იქნა საგანმანათლებლო პროგრამებში.
	2.2.2.					სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ მიიღო პროგრამული აკრედიტაცია.
	2.2.3.					მომზადდა ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი.
	2.2.4.					მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - უცხო ენების მიმართულებით მზადების პროცესშია.
	2.2.5.					მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - სამოქალაქო განათლების მიმართულებით მზადების

						პროცესშია.
	2.2.6.				▯	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - ინკლუზიური განათლების მიმართულებით მზადების პროცესშია.
2.3. საგანმანმათლებლო პროგრამების აკრედიტაციის უზრუნველყოფა	2.3.1.	▯				სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში აკრედიტაციის შესახებ განაცხადი წარდგენილია, პროგრამა აკრედიტებულია.
	2.3.2.	▯				საგანმანათლებლო პროგრამებში მოხდა რეკომენდაციებსა და რჩევებზე რეაგირება.
	2.3.3.	▯				სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ანგარიშები წარდგენილია.
3.1. საგანმანათლებლო სივრცეში სტუდენტთა ჩართულობისა და ინფორმირებულობის მოქნილი პოლიტიკის შემუშავება	3.1.1.	▯				განახლდა აკადემიის ოფიციალური ვებ - გვერდი; განახლდა აკადემიის სოციალური გვერდები.

	3.1.2.	▯				გაფართოვდა სტუდენტური ბაზა და დაემატა ახალი ოფციები.
	3.1.3.		▯			გაფართოვდა ელექტრონული რესურსების ტექნიკური მხარდაჭერა.
	3.1.4.	▯				გაიზარდა სტუდენტთა ინფორმირებულობის მაჩვენებელი.
3.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებების გაფართოება	3.2.1.	▯				დეკლარირებული გახდა სტუდენტური მხარდაჭერის სერვისები; ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან.
	3.2.2.	▯				განხორციელდა სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერა.
3.3. სტუდენტთა აქტივობების ხელშეწყობა, როგორც შემეცნებითი, ასევე ინტელექტუალური სახით	3.3.1.	▯				განხორციელდა სტუდენტთა ინიციატივების მხარდაჭერა (გასვლითი ღონისძიებები, ტრენინგები, პროექტები, საქველმოქმედო აქციები).
	3.3.2.	▯				განხორციელდა კურიკულუმის გარეშე აქტივობები.

	3.3.3.					ჩატარდა დასქმების ფორუმები; ჩატარდა თემატური შეხვედრები დამსაქმებლებთან; გაფართოვდა დამსაქმებელთა ბაზა.
	3.3.4.					ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ჩატარდა კვლევითი პროექტი.
4.1. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და დანერგვა	4.1.1.					გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმები; ჩატარდა 24 - ე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.
	4.1.2.					ჩატარდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.
4.2. საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმების ამოქმედება	4.2.1.					გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმები საერთაშორისო პარტნიორებთან.

	4.2.2.					გაფორმდა ხელშეკრულება საერთაშორისო ექსპერტთან.
4.3. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა	4.3.1.					განხორციელდა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტულობის შეფასება; აკადემიის ჟურნალი გახდა რეფერირებადი.
5.1. მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაფართოება	5.1.1.					განახლდა აკადემიის ინფრასტრუქტურა; გაფართოვდა და მოდერნიზდა აკადემიის მატერიალურ - ტექნიკური ბაზა.
	5.1.2.					აუდიტორიებში დამონტაჟდა გაგრილების სისტემები.
5.2. საბიბლიოთეკო რესურსების განახლება/განვითარება	5.2.1.					განახლდა ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ - ტექნიკური ბაზა და მოეწყო სტუდენტური სივრცეები; უახლესი ლიტერატურით შეივსო აკადემიის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი.
	5.2.2.					უზრუნველყოფილ იქნა სამეცნიერო ბაზებზე დისტანციური წვდომა; უზრუნველყოფილ იქნა ლიცენზირებული კომპიუტერული პროგრამები.

	5.2.3.					სახელმძღვანელოები დამუშავებულ იქნა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.
	5.2.4.					ჩატარდა საორიენტაციო და საინფორმაციო შეხვედრები ცნობიერების ამაღლების მიზნით.
	5.2.5.					ნაწილობრივ გაციფრულდა საბიბლიოთეკო ფონდი.
5.3. საინფორმაციო ტექნოლოგიების განახლება/განვითარება	5.3.1.					განახლდა აკადემიის ტექნიკური არჭურვილობა.